1. მიზანი

მკაფიოდ იქნას ჩამოყალიბებული კლიენტებთან ნავმისადგომის ფანჯრის და ტვირთის ჭრის პირობები.

2. მოცულობა

ბსსტ ოპერირება და საზღვაო ხაზები - საკონტეინერო, საბორნე/რორო ტიპის გემები.

3. განმარტებები

ETA: ჩამოსვლის სავარაუდო დრო
ETB: ნავმისადგომთან დადგომის სავარაუდო დრო
ATA: ჩამოსვლის ფაქტიური დრო

ATB: ნავმისადგომთან დადგომის ფაქტიური დრო.

IMDG: საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთი.
BB: შერეული ნაყარი ტვირთი.
OOG: არაგაბარიტული.
Cut off: ეზო ტვირთის შესატანად გემიდან ტერმინალამდე.
LAR: ტვირთის დაგვიანებით ჩამოსვლა

4. სამუშაოს აღწერა

1. გემის უპირატესობა განისაზღვრება ნავმისადგომის ფანჯრის სისტემით, რომელიც ყოველთვიურად თანხმდება საზღვაო ხაზებთან. მათ, ვისაც აქვთ ნამისადგომის ფანჯარა ექნებათ ნავმისადგომთან დადგომის უპირატესობა შეთანხმებული ფანჯრის გრაფიკის ფარგლებში. ამ დოკუმენტში აღწერილი სამუშაოები წარმოადგენს, ტერმინალის მომსახურების სტანდარტული სავაჭრო პირობების ნაწილს.
2. ნავმისადგომის ფანჯრები ეკუთვნის გემების მომსახურებას და არა საზღვაო ხაზებს, ანუ საზღვაო ხაზს არ შუძლია გამოიყენოს ფანჯრის მომსახურება ამავე ხაზის სხვა გემისათვის. ჩანაცვლების ნება მიეცემა მხოლოდ ფორს მაჟორის შემთხვევაში (თუკი იგივე მომსახურებაა), რომელიც სათანადოდ დამტკიცებული იქნება ბსსტ-ს მიერ სხვა ფანჯრის არსებობის შემთხვევაში.
3. გემების ჩამოსვლის დრო (ATA), ნავმისადგომის ფანჯრის შეთანხმება და გემის ტიპი არის ის კრიტრიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ პრიორიტეტებს პორტის ინფრასტუქტურის გათვალისწინებით.

4. ჩამოსვლის შეტყობინება გამოგაზავნილი უნდა იქნას ელ-ფოსტით საზღვაო ხაზის მიერ ბსსტ-ში 72 საათით ადრე. ამის შემდგომ სავარაუდო დროის (ETA) განახლება უნდა მოხდეს 48 სთ, 36 სთ, 24 სთ, 12 სთ და 6 სთ ინტერვალით.
5. თუ გემი ჩამოდის ნავმისადგომის ფანჯრის დროის დაწყებიდან 4 (ოთხი) საათის დაგვინებით, ის კარგავს ნავმისადგომთან დადგომის უფლებას, თუ კი არ არსებობს ბსსტ-ს წინასწარი თანხმობა. ასევე, თუკი გემი ჩამოდის ფანჯრის პირველი 4 საათის განმავლობაში, მაგრამ არის მომდევნო ფანჯარაზე ზეგავლენის შესაძლებლობა (რომელიც ეკუთვნის სხვა საზღვაო ხაზს) უნდა მოხდეს ჩართულ მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმება შესასრულებელი ოპერაციების შესახებ და ორივე მათგანმა უნდა აცნობოს ბსსტ-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაში დარჩება ადრე დადგენილი ფანჯარა.
6. თითოეულ გემზე მთლიანი ტვირთის მხოლოდ 5% იქნება მიღებული როგორც დაგვიანებული ტვირთი თუკი ბსსტ-ში არ იქნება გაგზავნილი წინასწარი შეტყობინება დაგვანებით ჩამოსვლის შესახებ. ეს შეტყობინება მოიცავს ტვირთის რაოდენობას, წონას, გადმოტვირთვის პორტის დასახელებას, კონტეინერის ტიპს, დეტალურ დახასიათებას (საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთი, არაგაბარიტული, შერეული ნაყარი ტვირთი, ტემპერატურა, ტენიანობა, ა.შ.) მოთავსებულია მაცივარში თუ არის მშრალ მდგომარეობაში და გაგზავნილი უნდა იქნას იმ საზღვაო ხაზის მიერ, რომელზეც მუშაობს გემი ბსსტ-ს გეგმით და საოპერაციო განყოფილების მიერ გემის ჩამოსვლამდე 24 საათით ადრე (და დანიშნული რეგულარული ფანჯრის მიხედვით). ტვირთი, რომლის შესახებაც შეტყობინება არ არის მიღებული ან რომელიც არ არის ადგილზე დროულად, არ იქნება შემოტანილი, დატვირთულ-მიღებული და შემოვა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი გათვალისწინებული იქნება ახალ რეისზე. ყველა ტვირთი, რომელიც შეტანილია 24 საათით ადრე გაგზავნილ ჩამონათვალში, უნდა განთავსდეს ბორტზე თითოელი საზღვაო ხაზის კოორდინატორის მითითების შესაბამისად (გამონაკლისის გარეშე).
7. ყველა შემთხვევაში ეს დროები ეხება ტერმინალში შემოსულ, და არა ტერმინალის გარეთ რიგში მდგომ კონტეინერებს.
8. თუკი რომელიმე ერთეული, გემის ნავმისადგომთან დადგომის შემდეგ, მოითხოვს პირდაპირ დატვირთვას, ის უნდა შეფასდეს და ფორმალურად დამტკიცდეს/ან უარყოფილი იქნას ბსსტ-ს დაგეგმარების და საოპერაციოს მენეჯმენტის მიერ. შეფასებული იქნება ცალკეული შემთხვევები, ოპერირებაზე ზეგავლენის საკითხები, რაოდენობა უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი და სათანადოდ დასაბუთებული საზღვაო ხაზების დოკუმენტებით. ანალიზის მიზნით, საზღვაო ხაზის მოთხოვნა

გადაგზავნილი უნდა იქნას ელ-ფოსტით ბსსტ-ს საგეგმო სამსახურში და ასლი საოპერაციო დეპარტამენტში. მოთხოვნის დამტკიცების შემთხვევაში ბსსტ დანიშნულებისამებრ აგზავნის დასტურს ელ-ფოსტის მეშვეობით.

9. სხვადასხვა სახეობის ტვირთისათვის აღნიშნული ჭრა (cut off) და ჩამონათვალი ეყრდნობა ნავმისადგომის ფანჯრის ნავმისაგომთან დადგომის სავარაუდო დროს, რომელიც შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ნებადართულია ბსსტ-ს მიერ.
10. ბსსტ პასუხისმგებელი არ არის და მიმართავს შესაბამის რეგულაციებს ნებისმიერი დაგვიანების შემთხვევაში, რომელიც წარმოიშობა გემის ნავმისადგომთან მიბმის/მოხსნის მომსახურების გამო (გემის მომსახურება). ზემოთხსენებული ხორციელდება საზღვაო ხაზებსა და გემის მომსახურე სამსახურს შორის. განხილული იქნება მხოლოდ დოკუმენტებით დასაბუთებული და მონაწილე/დაზარალებულ მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული გამონაკლისები (საზღვაო ხაზები, რომლებიც განიცდიან გარკვეულ უხერხულობას და საზღვაო ხაზები, რომლთაც აქვთ მოგვიანებით ფანჯარა, რომელზეც შესაძლოა მოხდეს გავლენა). ბსსტ შეაფასებს სიტუაციას რათა დაადასტუროს ან უარყოს რაიმე სახის გამონაკლისი, რომელიც არ მოახდენს უცილობელ გავლენას ადრე დაწესებულ ჩამოჭრაზე (cut off).
11. ბსსტ, საჭიროების შემთხვევაში, საზღვაო ხაზებთან შეთანხმებით, ხელს შეუწყობს ნავმისადგომის ფანჯრის ცვლილება/განახლებას.
12. სხვადასხვა საზღვაო ხაზი პასუხისმეგებლია შეასრულოს და თვალყური ადევნოს ბსსტ-ს მიერ გაკეთებულ ცვლილებებს ნავმისადგომების გრაფიკში და კავშირი იქონიოს საკონტაქტო პირებთან 24/7.
13. მინიმალური შესაბამისობის გადაადგილების საშუალო ტარიფი თითოეულ ხაზის ოპერატორისათვის არის დამტკიცებული ნავმისადგომის ფანჯრის მთლიანი გააადგილების 85%.
14. ბსსტ და საზღვაო ხაზები განიხილავენ ნავმისადგომის ფანჯრებს ყოველ სამ (3) თვეში საზღვაო ხაზების ფანჯრებთან შესაბამისობის და ასევე საზღვაო ხაზის საოპერაციო პარამეტრების (ტვირთის მოცულობა, მარშუტები ა.შ.) მიზნით. ასევე შეადარებენ ტვირთის მოცულობას, გემის ტიპს, სამუშაოს შერულების ისტორიას, არსებული რესურსების გათვალისწინებით. ის საზღავო ხაზები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნებს ზედიზედ სამ (3) შემთხვევაზე მეტჯერ/ან მინიმალური საშუალო გადადგილებით (85%), დაკარგავენ ნავმისადგომის ფანჯრის უპირატესობას.

15. გემი, რომელსაც არ გააჩნია ნავმისადგომის ფანჯარა, ნავმისაგომთან დადგება ჩამოსვლის რიგის მიხედვით, თავისუფალი ნავმისადგომის არსებობისა და ბსსტ-ს წინასწარი თანხმობით.
16. ზოგადი ნავმისადგომის უპრატესობის რიგი შემდეგნაირია: 1. გემი ნავმისადგომის ფანჯრით. 2. გემი რეგულარული ფანჯრის გარეშე. 3. ყველა დანარჩენი ჩამოსვლის თარიღის, დროის და თავისუფალი ნავმისადგომის არსებობის, გემის და/ან ტვირთის ტიპის მიხედვით. ბსსტ უფლებას იტოვებს შეცვალოს გემების უპირატესობა დასაბუთებული მიზეზებით პორტის წესების თანახმად.
17. ფორს მაჟორის შემთხვევაში, ნავმისადგომის ფანჯრის ცვლილების შესახებ ცნობა გავრცელებული იქნება ბსსტ-ს საგეგმო დეპარტამენტის მიერ. ბსსტ შეაფასებს სიტუაციას თანაბარი მიდგომით და ახალ ნავმისადგომის ფანჯრის განრიგს აცნობებს საზღვაო ხაზებს ელ-ფოსტის მეშვეობით.
18. ბსსტ აცნობებს თითოეული გემის ოპერირების დასრულების სავარაუდო დროს, ამასთანავე საზღვაო ხაზებმა პერიოდულად უნდა გადაამოწმონ ბსსტ-სთან მუშობის პერიოდში, ოპერირების დასრულება. თუკი არის რაიმე სახის ცვლილება, საზღვაო ხაზები კოორდინირებას უწევენ პორტის ხელმძღვანელობასთან, შესაბამისად ლოცმანებთან, საბუქსირე გემებთან, დისპეტჩერთან. ოპერირების დასრულების შემდეგ გემის მოსახნელად მიცემული იქნება 1 საათი შუალედი (ბოლო ხაზი). ნებისმიერი სხვა დაგვიანება გამოიწვევს დამატებით ხარჯებს გემისათვის/საზღვაო ხაზისათვის. მხოლოდ ბსსტ-ს აქვს უფლება ნება დართოს დამატებითი საფასურის გარეშე დოკუმენტურად დასაბუთებულ გამონაკლის შემთხვევებს.
19. საბოლოო სანავმისადგომე პოზიცია განისაზღვრება ბსსტ-ს მიერ და შეიძლება შეიცვალოს ნავმისადგომებზე ბსსტ-ს გადაწყვეტილებით არსებული სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისად.
20. ნავმისადგომის შეთანხმების, საოპერაციოს რესურსების არსებული შესაძლებლობების, გემის ტიპის, ტვირთის შემადგენლობის, და/ან ნავმისადგომთან დაყენების დროს საგანგებო მგდომარობის შესაბამისად, ბსსტ განსაზღვრავს და აცნობებს საოპერაციო რესურსების გამოყოფის შესახებ, რათა შესაძლებელი იქნას მათი მოდიფიცირება.
21. ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ბსსტ-სთან ნავმისადგომის ფანჯარასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე : planning@bict.ge ; operations@bict.ge ასევე, თუკი რაიმე ცვლიელების გამო საჭიროა დაუყოვნებლივი დახმარება, საზღვაო ხაზები უნდა დაუკავშირდნენ ნავმისადგომთან დაყენების კოორდინაციის პასუხისმგებელ პირს

ტელეფონით, მას შემდგე რაც ელ-ფოსტით გაგზავნილი იქნება შეტყობინება, რათა თავიდან იქნას აცილებული დახმარების მიღების შეყოვნება.

შენიშვნა:

1. აღნიშნული პროცედურა შეიძლება მებისმიერ დროს შეცვლილი იქნას ბსსტ-ს მიერ მისი გაუმჯობესების მიზნით, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ ყველა ჩართულ მოქმედ მხარეს.
2. ნავმისადგომის ფანჯრის პირობების გამოყენება კონკრეტული ხაზის გემისათვის არის ბსსტ-ს დისკრეციული უფლება და ნავმისადგომის ფანჯრის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ნავმისადგომის ექსპულატაციაზე ნავმისადგომის ფანჯრის გამოყენების შემთხვევაში.